



თებერვალი, 2021 წ.

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- იანვარში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -11.5% შეადგინა
- თებერვალში წლიური ინფლაცია 3.6%-ს გაუტოლდა
- თებერვალში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.4%-ით გაუფასურების, ხოლო ევროს მიმართ 0.4%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლას




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2021 წ.

1. რეალური და ფისკალური სექტორი

იანვარში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა 11.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის იანვარში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -11.5% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებული ტემპი¹ -0.1% შეადგინა.




თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 3.6%-ს შეადგინა.

წინა წლის თებერვალთან მიმართებით, 2021 წლის თებერვალში ინფლაციის დონე 3.6%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ავეჯის, საოჯახო ნივთებისა და სახლის მოვლაზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერჯიაზე და აირზე. 2021 წლის იანვარში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 6.9% შეადგინა.



იანვარში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის იანვარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 13.1%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები -16.1%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 96.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 47.8 მლნ ლარით განისაზღვრა.




¹ წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.

იანვარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.

წინა წლის იანვართან მიმართებით, 2021 წლის იანვარში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 20.0%-ით მოიმატა და 37.3 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 21.3%-ით გაიზარდა.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები




2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

წინა წლის იანვართან შედარებით, 2021 წლის იანვარში ექსპორტი 16.2%-ით, ხოლო იმპორტი 16.6%-ით შემცირდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.4%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა აშშ-ში (809%-ით), გერმანიაში (126%-ით) და ლიტვაში (40%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი ჩინეთში (40%-ით), რუსეთში (32%-ით), სომხეთში (25%-ით) და აზერბაიჯანში (24%-ით).


საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები იანვარი



იანვარში ფულადი გზავნილები გაიზარდა.


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის იანვარში ფულადი გზავნილები 19.2%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 43.5%), რუსეთი (15.5%) და აშშ (12.1%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან (213%), უკრაინიდან (81%-ით), გერმანიიდან (57%-ით), აშშ-დან (33%-ით) და იტალიიდან (30%-ით). ხოლო რუსეთიდან შემცირდა (11%-ით).

ფულადი გზავნილები იანვარი



2021 წლის თებერვალში საერთაშორისო რეზერვებმა 4,076 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


2021 წლის თებერვალში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,076 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 18.6%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი შემცირდა 0.6%-ით. 2021 წლის იანვარში ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით 80 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო თებერვალში კი 40 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები


იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შენარჩუნდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის იანვარში სარეზერვო ფულის მასა 21.5%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატი 20.0%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 26.1%-ს გაუტოლდა. იანვარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2.8% შეადგინა.



იანვარში, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა როგორც დეპოზიტებმა, ისე მსხმებმა დოლარიზაციის მაჩვენებელი.


2021 წლის იანვარში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.0%-ული პუნქტით გაიზარდა და 63.8%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა და 55.6% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2021 წლის იანვარში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.8%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 0.5%-ით გაიზარდა.



იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.7%-ული პუნქტით გაიზარდა.

2021 წლის იანვარში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.2% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.5%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2021 წლის იანვრის მდგომარეობით 5.7% შეადგინა, 0.6 %-ული პუნქტით მეტი წინა წლის იანვართან შედარებით.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე




თებერვალში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლართან გაუფასურების, ხოლო ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2021 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.4%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ 0.4%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის თებერვალში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 13.8%-ით, ევროს მიმართ კი 22.2%-ით გაუფასურდა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები

(ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)




4. რეგიონული მიმოხილვა

თებერვალში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.


კერძოდ, 2021 წლის თებერვალში თურქეთში წლიური ინფლაციამ 15.6% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (5.7%) და სომხეთში (5.3%). რაც შეეხება აზერბაიჯანს*, 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.3%-ით მოიმატა.

წლიური ინფლაცია თებერვალი, 2021



თებერვალში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.

კერძოდ, 2021 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (14.6%-ით), რუსული რუბლი (14.0%-ით), სომხური დრამი (8.4%-ით), ხოლო აზერბაიჯანული მანათი უმნიშვნელოდ გაუფასურდა (0.2%-ით).



შემაჯამებელი ცხრილი²



ზრდა



კლება



ცვლილება < 1%

| | | იანვ 20 | თებ 20 | მარტი 20 | აპრილი 20 | მაისი 20 | ივნ 20 | ივლ 20 | აგვ 20 | სექტ 20 | ოქტ 20 | ნოემბ 20 | დეკ 20 | იანვ 21 | თებ 21 |
|--------------------|--------------------------------|---------|--------|----------|-----------|----------|--------|--------|--------|---------|--------|----------|--------|---------|--------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | სესხების დოლარიზაცია | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | გზავნილები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | ექსპორტი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | იმპორტი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | სავაჭრო ბალანსი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | საერთაშორისო რეზერვები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მიმდინარე ხარჯები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | კაპიტალური ხარჯები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |

*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

| | | იანვ 20 | თებ 20 | მარტი 20 | აპრილი 20 | მაისი 20 | ივნ 20 | ივლ 20 | აგვ 20 | სექტ 20 | ოქტ 20 | ნოემბ 20 | დეკ 20 | იანვ 21 | თებ 21 |
|--------------------|--------------------------------|---------|--------|----------|-----------|----------|--------|--------|--------|---------|--------|----------|--------|---------|--------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange | Orange |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | სესხების დოლარიზაცია | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | გზავნილები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | ექსპორტი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | იმპორტი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | სავაჭრო ბალანსი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | საერთაშორისო რეზერვები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მიმდინარე ხარჯები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | კაპიტალური ხარჯები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |

**ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

² გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.